



ევროპულ დირექტივათა ინტეგრირება ქართულ ელექტრონულ მონეტარიზაციის ბაზარზე



ევროპულ ღირებულებათა ინტეგრირება ქართულ ელექტრონული მოწყობილობების ბაზარზე

ავტორი: გიორგი ბულია

საქართველოს მთავრობის საკადრო პოლიტიკის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი ქართული მარეგულირებელი სისტემის ევროპულ ანალოგთან მაქსიმალურად დაახლოებაა, რაც ქართული ბაზრის ევროპული დირექტივებით დარეგულირებას გულისხმობს. ევროპულ დირექტივათა შემოღების საბოლოო მიზანი ქართულ ბაზარზე თანამედროვე სტანდარტების შეუსაბამო საქონლის საერთო წილის შემცირება და მომხმარებელთა უსაფრთხოებაზე ზრუნვაა. აღნიშნული პროექტი არის 2014 წელს ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული DCFTA (Deep and Comprehensive Free Trade Area) ხელშეკრულების ნაწილი, რომელიც მიზნად ისახავს ადგილობრივი წარმოების სტანდარტების ამაღლებას, მწარმოებელთათვის ბაზრების გაღებასა და სავაჭრო ბარიერთა შემცირებას.

საქართველოს ელექტრო მოწყობილობების ბაზრის ანალიზმა გამოკვეთა რამოდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი:

- საქართველო არ არის მზად ადგილობრივ ბაზარზე ევროპული დირექტივების სახეუცვლელად ინტეგრაციისთვის;
- აუცილებელია ინფრასტრუქტურის განახლება და საინფორმაციო კამპანიის წარმოება;
- ევროპულ დირექტივათა შემოღების უმეტესი ტვირთი გადანაწილდება არა იმპორტიერებზე, არამედ მწარმოებლებზე;
- ქართველი მომხმარებელი მზად არის უსაფრთხოებისთვის გაწიოს დამატებითი ხარჯები.

საქართველოს ელექტრონული მოწყობილობების ბაზარი ძირითადად წარმოდგენილია იმპორტირებული საქონლით, შესაბამისად დირექტივათა ამოქმედება ყველაზე მეტად მიმართული იქნება ქართული მარეგულირებელი ორგანოების მიერ იმპორტირებული ელექტრონული საქონლის გაკონტროლებაზე. თავის მხრივ იმპორტის გაკონტროლების ყველაზე პროგნოზირებადი შედეგი იმპორტის წილში განვითარებული ქვეყნების წილის ზრდაა განვითარებადი ქვეყნების წილის ხარჯზე. დირექტივათა შემოღების ერთ-ერთ მიზეზად ქართული ექსპორტის წახალისება მოიაზრება, თუმცა იგი მაინც გრძელვადიანი პერსპექტივაა. ქართული ექსპორტის წახალისებამდე პირველ რიგში ადგილობრივ ბაზარზე უნდა დამკვიდრდეს ევროპული სტანდარტები, რომელიც მომავალში ქართველ მწარმოებლებს მისცემს საშუალებას აქტიურად გაატარონ საექსპორტო პოლიტიკა. დღესდღეობით ქართულ ელექტრონული მოწყობილობების წარმოებას უჭირს კონკურენციაში შესვლა უცხოურ ნაწარმთან. ყველაზე ოპტიმისტურ სცენარში დირექტივების შემოღების ეფექტი იქნება უცხოური მზარდი იმპორტის გარკვეულწილად ქართული წარმოებით ჩანაცვლება.

არსებობს დირექტივების შემოღების ნეგატიური მხარე, რომელიც დაკავშირებულია ქართველი მწარმოებლებისა და იმპორტიორების მზობასთან მხარი აუბან ევროპულ თანამედროვე რეგულაციებს. საქართველომ DCFTA-ის ფარგლებში 2014 წელს დადო იმისი პირობა, რომ მომდევნო 8 კალენდარული წლის მანძილზე მოახდენს ევროპული რეგულაციების (დაბალი


დაბვის დირექტივა (LVD), ელექტრონული თავსებადობის დირექტივა (EMC)) შემოღებას პირდაპირი ან ჰარმონიზირებული სახით. თუმცა ამ ხნის მანძილზე არ გატარებულა რაიმე სახის ღონისძიებები სახელმწიფოს მხრიდან, რომელიც ხელს შეუწყობდა აღნიშნულ დირექტივებზე მწარმოებლებს შორის ცნობიერების ამაღლებას და საბოლოო ჯამში მოამზადებდა მწარმოებლებს ტექნიკური რეორგანიზებისათვის. ფორმალურად 2014 წლიდან საქართველო იმყოფება გარდამავალ პერიოდში, თუმცა ფართო საზოგადოებისთვის დირექტივების გაცნობა შედგა მხოლოდ 2018 წელს ბიზნეს საკონსულტაციო კომპანია PMO Business Consulting-ის მიერ, რომელიც აღნიშნული დირექტივის შემოღების გავლენის შეფასების პროექტის ფარგლებში მუშაობდა.

PMO-ს მიერ ჩატარებულმა ქართველ იმპორტიორთა და მწარმოებელთა გამოკითხვამ ცხადყო, რომ ყოველად არასახარბიელო იქნება ევროპული დირექტივების სახეუცვლელად ქართულ ბაზარზე გადმოტანა. დირექტივასთან პირდაპირ გადმოტანის სირთულეები მდგომარეობს შემდეგში:

- მწარმოებელთა საწარმოო ხაზის განახლების აუცილებლობა.
- მწარმოებელთა ცვლადი და მუდმივი ხარჯის ზრდა ფინანსური შეზღუდული რესურსების პირობებში.
- რეგულაციების შემოღების შემდგომი ბაზრის მარეგულირებელი მექანიზმების ამუშავებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურისა და ადამიანური რესურსების ნაკლებობა.
- თავისუფალი ვაჭრობის პრინციპებზე დამყარებული საერთაშორისო სავაჭრო ხელშეკრულებების დაცვა.

რეგულაციების შემოღებას ექნება ორმაგი ეფექტი: ერთი მხრივ ქართულ ბაზარზე წახალისდება უსაფრთხო ელექტრონული პროდუქციის განთავსება, ხოლო მეორე მხრივ გაიზრდება ელექტრონული საქონლის საბაზრო ფასი. სახელმწიფოს მოუწევს ერთგვარი არჩევანის გაკეთება პროდუქციის უსაფრთხოებასა და გაზრდილ ფასს შორის. თუმცა ამ კუთხით ქართველი მომხმარებელი მზად არის უსაფრთხოებისთვის გაწიოს დამატებითი ხარჯები, რომელსაც ადასტურებს PMO Business Consulting-ის მიერ ჩატარებული მომხმარებლებთან კვლევა. მომხმარებლებმა 5 ბალიანი შკალით შეაფასეს ის ფაქტორები, რომელსაც ყველაზე მეტად აქცევენ ყურადღებას ელექტრონული საყოფაცხოვრებო ტექნიკის შეძენისას:

სამომხმარებლო გადაწყვეტილებებზე მოქმედი ფაქტორები



წყარო: PMO ფოკუსი ინდუსტრიაზე

მომხმარებელთა გამოკითხვამ აჩვენა, რომ მომხმარებელთათვის ელექტრონული ტექნიკის შეძენისას უმთავრესი ფაქტორი არა ფასი, არამედ ხარისხი და საქონლის უსაფრთხოებაა. კვლევის შედეგი იძლევა იმის ვარაუდის საფუძველს, რომ ქართველი მომხმარებელი არის მზად უსაფრთხოებისათვის გაიღოს დამატებით ხარჯი.

ქართველ იმპორტიორთა და მწარმოებელთა გამოკითხვამ ცხადყო ის ასპექტები, რომელთა გათვალისწინებაც კრიტიკულად მნიშვნელოვანი იქნება მარეგულირებელი პოლიტიკის განსაზღვრისას:

- ადგილობრივი მწარმოებლები არ არიან მზად სწრაფად აუბან მხარი ტექნიკურ რეგულაციებს რადგან მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად გასაწვევი ხარჯები საკმაოდ მაღალია და შესაბამისად მაღალია ბაზრის დატოვების რისკიც.
- მხოლოდ ის მწარმოებლები იხეირებენ რეგულაციების შემოღებით, რომლებიც უკვე მუშაობენ ევროპული სტანდარტებით.
- მწარმოებლებთან შედარებით იმპორტიორები ნაკლებად დაზარალებიან, რადგან მათ ყველაზე ცუდ სცენარში მოუწევთ სხვა სანდო მომწოდებლების მოძიება.
- ადგილობრივი სატესტო ლაბორატორიები არ აკმაყოფილებენ ევროპულ სტანდარტებს.
- საჭროა ადგილობრივ მეწარმეებს შორის ინფორმირებულობის დონის ამაღლება.

დირექტივათა მიღება შეუქცევადი პროცესია, რადგან სახელმწიფოსთვის პრიორიტეტული ადგილობრივი ბაზრის უსაფრთხოება და საკანონმდებლო ჩარჩოს ევროპული დირექტივებით დარეგულირებაა. დირექტივათა შემოღების უალტერნატივობას კი კიდევ უფრო აძლიერებს მომხმარებელთა გამოკითხვის შედეგები, სადაც მკაფიოდ ჩანს თუ რამხელა მნიშვნელობა ენიჭება მომხმარებელთათვის საქონლის უსაფრთხოებას.

სახელმწიფოს რეგულაციების შემოღებისას ენიჭება უმთავრესი როლი, რადგან ამ შემთხვევაში მხოლოდ კეთილი ნება და სურვილი არ არის საკმარისი. ადამიანური და ფინანსური რესურსების გარეშე რეგულაციების შემოღებას ექნება უკუ ეფექტი, რაც გამოიწვევს ბაზრის მარეგულირებელი

სისტემის არაეფექტურ ფუნქციონირებას. აუცილებელია საბაზოს გამსვლელ პუნქტებზე საქონლის შემოწმების მოქნილი სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც თავიდან აირიდებს საქონლის დიდი ხნით დაყოვნებას საბაზოზე, რომელიც დამატებით ხარჯია იმპორტიორებისთვის.

საქართველოს მთავრობამ 2015 წელს სცადა საკუთარი ეროვნული სავაჭრო ნიშანდების მიღება და ევროპულ სტანდარტებთან დაახლოება რუსული GOST სტანდარტების ანულირებით. საქართველოს პრემიერ მინისტრმა გამოსცა 134-ე დადგენილება, რომლის ძალითაც რუსულ GOST სტანდარტს ყოველგვარი იურიდიული ძალა ჩამოერთვა და მიღებულ იქნა ეროვნული GE ნიშანდება, რომელიც ევროპული CE ნიშანდების ერთგვარი ქართული ვარიანტია. თუმცა GE ნიშანდებამ ვერ მოიკიდა ფეხი იმის გამო, რომ არ არსებობს ქართულ ბაზარზე ინსპექტირების ორგანო, რომელიც მოითხოვდა მწარმოებლებისგან GE ნიშანდების წარდგენას. შესაბამისად არც მწარმოებლებს გააჩნდათ იმის სურვილი, რომ შეეტანათ განაცხადი აღნიშნულ მარკირებაზე. შედეგად 2015 წლიდან დღემდე საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ინსტიტუტში არ შესულა ერთი განაცხადიც ქართველი მწარმოებლებიდან GE ნიშანდებაზე. აღნიშნული ფაქტიდან მარტივი დასკვნის გამოტანა შეიძლება: რეგულაციების შემოღება იქნება ეფექტური მაშინ თუ მოხდება შესაბამისი თანმდევნი ღონისძიებების გატარება სახელმწიფოს მხრიდან.

საქართველოს DCFTA-ს ფარგლებში აღებული აქვს ვალდებულება იმისა, რომ 2022 წლისათვის მოახდინოს ორივე, LVD (დაბალი ძაბვის დირექტივა) და EMC დირექტივათა (ელექტრო მაგნეტური თავსებადობის დირექტივა) მიღება. საქართველოს მთავრობამ უნდა გაითვალისწინოს წარსულის გამოცდილება და არ გაიმეოროს დაშვებული შეცდომები რადგან გარდამტეხი ფაქტორი გამოყოფილი ადამიანური და ფინანსური რესურსები იქნება..

PMO is a Management Consulting Company providing broad range of services to organizations in different industries.

The range of our services includes assisting companies in Market Research and Analysis, Organizational Improvement, Market Entry and Expansion, Human Resource Management, Marketing and Product Development. We also assist our clients in Financial and Risk Management.¹

www.pmo.ge
(+995 32) 2 37 73 07
contact@pmo.ge
7 Niko Nikoladze St.



¹ IMPORTANT NOTICE: This document and all ideas, concepts, frameworks and recommendations included into this document are intellectual property of PMO Business Consulting. The passing whole or part of the information to third parties or/and copying, distribution, re-processing or any other usage of the document is not allowed without noticing the original source – www.pmo.ge